

ბობო

თბილისი 1939 წ.

წარმართული
გოგონაობის
ფანჯრა 60კ.

№ 8

გაერთიანება „კომუნისტი“




ნახ. ჯონისა



სვანური

— გოლია, გოლი!



ალეიას ღარდი ულაჰია (ბარლინის ლაბორატორიაში)

- უდიდესი რამ აღმოვაჩინე, კოლეგებო, ნახერხისაგან კარაქი დავამზადე, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მივაღწიე...
- რატომ?
- არ ფეთქდება. მაშასადამე სამხედრო საქმეში არ გამოდგება.

ომახი კვარაკვანჭინაის ნაჩიღები ნაჩილი პიკველი.

ქვირკვასო ნინაგო!

დაბა კვარაკვანჭინის მოსახლეობა ხელის ჩამორთმევით მოგიკითხავს და გთხოვს, შენს საყვარელ ფურცლებზე დაბეჭდო ეს წერილი ინგლის-საფრანგეთის პატივცემულ დიპლომატების მისამართით, იმიტომ ძვირფასო ნინაგო, რომ აუცილებელია, რომ მათ აქ აღნიშნული დიხსომონ და ოოჯორც ნათქვამია, უღვაშის წვერზე დაიგრიხონ.

სალამი პატივცემულნო! მოგიკითხავთ ნახვის სურვილითა, რომ ასე ვსთქვათ, ცოცხალი სიტყვით მოგელაპარაკოთ. სანამ პირის პირ შეგხვდებოდით კი — თქვენთვის ეს წერილი მოგიერთმევიძა. წაიკითხეთ და ჩავარდით გულისხმასა. ნურას უკაცრავად თუ მკვახე-მკვახე ადგილები შეგხვდებოთ, — სადაც გემწვა-ვოთ — ენა აისვით, — თქვენ ხომ ენა საკმაო სიგრძისა მოგეპოვებოთ.

ამ წერილსა გწერთ დაბა კვარაკვანჭინის დაქვრელთა რგოლის მეთაური ომახი კვარაკვანჭინელი. გვინდა მცირეოდენი გემასლაათოთ მშვიდობიანობის საკითხებზედა: გაგონილი გვაქვს დიდი ღვაწლი და ამაგიმიგიძღვით ამ საქმეშიო. კეთილი და პატიოსანი, ყოველგვარ ამაგს ხომ თავისი ნაყოფიც მოაქვს. ხომ გაგიგონიათ: „ნაყოფმა იმას არგოსო, ვინც რომ ხეხილი დარგოსო“.

ჰოდა, თქვენ რომ მიუნხენის ხეხილი დარგეთ, პატივცემულნო, ნაყოფიც აკი მალე იგემეთ. კიდევ რა უშავდა. რომ მარტო თქვენ გეგმნათ და თვით მშვიდობიანობისათვის კუჭის წყლული არ გაეჩინა იმ ნაყოფსა, მაგრამ დახეთ ყისმათს — აქ არ გამართლდა ანდაზა. მაშინ თქვენი წყლიანი ენები იმედების ნაღვარს გვაფრქვევდნენ:

— ჰარიქა, დავგიჯერეთ, მიუნხენში აგრესორები კრავებდნენ ვაქციეთ და მარტო იონჯას თუ მოსძოვენ, თორემ შექმით აღარავის შესუამენო.

არა თქვე კაი კაცებო თქვენა. ნუ თუ მაგოტელა ცილინდრების ქვეშ ცოტაოდენი წინდახედულობა არ გეყარათ? — ვის გაუგონია — მგელს მგლობაზე უარი ეთქვას? ნათქვამია:

მგლისაგან ბატკანი არ დაიბადებო. როგორ ვერ მოიფიქრეთ, რომ თქვენ რომ ამას გელაპარაკებოდნენ, თან ჩეხო-სლოვაკიის კრავისათვის კანჭში კბილი ჰქონდათ ჩასობილი.

ჩვენ ხომ თავიდანვე გეუბნებოდით — არ დაუჯეროთ მელისა ტკბილი სიმღერა — ის ბულბული არ არისო? — ხომ გაგიგონიათ: ასი ურტყი დავითასა, მაინც იზამს თავისასაო; ჩაგჩინებდით: ჯენტლეინებო, ეგ რახა-რუხი თავის მოტყუებაა, მშვიდობიანობას მარტო მებრძოლ ძალების გაერთიანება ვადაარჩენს და მოდი, გავაერთიანოთ ეს ძალებიო? თქვენ კი — იკლიბაკლოთ იქცეოდით.

რათა და რის გამო? იმისთვინა, რომ თქვენ სხვა მუცლის გვრემა გქონდათ. ასე ამბობს ჩვენი ბრიგადირი ჯომარდ ჯომარდიანი და, ჩვენც ვეთანხმებით, რომ ეგ თქვენ ფართი-ფურთები სხვა სარჩულს ატარებდა: ჩუმად ეუბნებოდით აგრესორებსა: ჰამა გინდა? ჰამა — ესანეთი, მასზეგ კლაიპედი, კიდევ იქით და, ვინძლო საბჭოეთისაკენ წახვიდე; იქ ვაძღე და ჩვენ პირი აღარ გვახლოო. ასე რომა, ერთი ბეცი დედაბერივით გამოგდიოდათ: ისიც ეუბნებოდა შავ ჟამსა:

— ჰირო, მეზობელთანაო... ის კი ვერ მოისაზრა, რომ მეზობლებიდან — იმისთანავე ამოჰყოფდა თავსა.

აბა ეგ რა საკადრისი იყო პატივცემულნო? — განა თქვენ არ იცით, რომ თუ მტაცებლები ჩვენს ბოსტანში ღორის დინგის ვადმოყოფას მოინდომებდნენ, იმათი ბურღლაც არ დარჩებოდა? ეგრე გამოვიდა, რომ თქვენ ვერ მიხვდით ამასა, — იმ დინგოვან ფაშინშს კი —

კარგად ესმოდა. ან კი რატომაც არ უნდა ესმოდეს შვილოსა, როცა, თავიანთ ზურგზე გამოცდილი აქვთ ვაროშილოფური ხიშტის ფხიანობა? ხომ გაგიგონიათ ანდაზა: დამწვარ თითს ლადარში აღარ ჩაჰყოფენო?

ჰო და რაკი ეგ ფანდი არ გამოგივიდათ, ჩავარდით საგონებელსა. ეხლა თურმე, პატივცემულნო, ჭკუაში გიჯდებოთ ჩვენი რჩევაი — იმასაც კი იმახით — გავაერთიანოთ მშვიდობიანობის საყრდენი ძალებიო. ეგრე თურმე უბრძანებოთ თემთა პალატაში, სხვადასხვა ჯენტლეინებსა და ლორდებსაც კი და დეპუტატთა პალატაში — სხვადასხვა მუსიოებსაცა.

კარგი და კეთილი, ისევე კი დავემართოთ, კარგია ასეთი გაერთიანება. ჩვენი ბრიგადირი ჯომარდიანიც ამ აზრისაა. ის ამბობს თქვენს საყურადღებოთა:

— ვინც წვიპურტს გააკრავს — სილა გაუჭახუნე, თორემ უხელო ეგონები და ცხვირის მოკვნიტას მოგინდომებსო.

ნურას უკაცრავად ამის მოხსენებისათვის მაგრამ მაინც უდავოა, რომ უცხვირობა თქვენს ცილინდრებს სულ არ მოუხდებოდა.

რალა ბევრი გავაგრძელოთ პატივცემულნო, ნათქვამია: გესხათ ყურნი სმენათ და თვალნი — ხედვათო; რაკი გულსხმას ჩავარდით, მარტო სიტყვების ფარდებს ნულარ ჩამოიფარებთ — ახლა საქმე გეჩვენეთ. იქ კი, სადაც საქმე მშვიდობიანობას შეეხება, ჩვენ პირველ რიგში დავიხვდებით — და ისე დღევანდლობა ჩვენს საბჭოეთს, რაც ამით ქვეყნიერების მშვიდობიანობა მოიგებს. ერთის სიტყვით, მიიღეთ ჩვენგან და სხვა.

ომახი კვარაკვანჭინელი



ქართული
კომუნისტური
პარტია

სამგლოვიარო პანაშვიდი

რომი. რომის პაპმა ვატიკანის ტაძარში გადაიხადა სამგლოვიარო პანაშვიდი საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავების ვლადიმერ კოკინაკის და მიხეილ გორდინკოს ამერიკაში უმარცხოდ გადაფრენისა და მოსკოვში მშვიდობით დაბრუნების გამო.

ტანგო

დაგნაშავე უისო

იქიდანვე. ღვთის მოციქული რომის პაპი საბჭოთა გმირი მფრინავების ამერიკაში უმარცხოდ გადაფრენის და უკან დაბრუნების მიზეზად იმას ასახელებს, რომ ცა - ღრუბლის ღვთაების წმ. ილია წინასწარმეტყველისა და ფაშისტების შუა შავმა კატამ გაიარაო.

ტავიტი

ვერ უზველის

კანტონი. იაპონელმა გენერალმა მათრახიტომ უჩვეულო გაბრაზების გამო სამი ლაყუ კვერცხი დაამტვრია. ამ ფსიქიური ექსცესის მიზეზი ის არის, რომ მისგან ძალით მობილიზებულმა ჩინელმა ჯარისკაცებმა კეხი შეაბრუნეს: იაპონელთა ერთერთი რაზმი გაანადგურეს და ჩინელ პარტიზანებს შეუერთდნენ.

ტაქტუმი.

„კომუნიზმის კერა“

ბერლინი. ფაშისტების გაზეთის „ფელკიშერ ბეობახტერის“ გამომცემით, გუშინწინ, მზის ჩასვლისას პოლონეთის ტერიტორიიდან გერმანელ მესაზღვრეებს მამლის ყვილი შემოესმათ. გერმანიის ფაშისტური პრესა ამ აქტს (ე. ი. სალამოს მამლის დაყვილებას) თვლის გერმანიისადმი გამოძევაზე მტრულ აქტად და გამოსთქვამს აღშფოთებას პოლონეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. მოსალოდნელია დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტა პოლონეთთან.

ტაგერე

ეუვატური ლონისკიება

იქიდანვე. გერმანიის საზღვრის ახლოს მამლის უდროო დროს და საეჭვოდ დაყვილებასთან დაკავშირებით გერმანელი ფაშისტები ულტიმატუმის სახით მოითხოვენ არაარიული ჯიშის მამლების ამოწვეტას პოლონეთის ტერიტორიაზე.


ტანგო

სენსაცია

იქიდანვე. ვილჰელმის ქუჩაზე ლორდინგფონ ცულლუტერის საეჭვროში აღმოაჩინეს ორმოცდაათი უნცი გასაყიდი კარაქი.

ტავიტი

ნახ. მ. ლებეშვიცისა.



განვილაგული ურთოსნაუი

მარცხალი: — წახდა საქმე, წინათ ფრენის სისწრაფით მაინც გამოვიჩიოდით სხვებისგან, ახლა ესეც აღარ გავვაჩნია, აღამიანებმა წავგვართვეს.

კაბინეტის კარი ფრთხილად გაიღო და ფრთხილადვე მიიხურა. შემოვიდა საშუალო ტანის, პირხმელი სუბიექტი. სამხედრო ქუდი ეხურა, „ხაკის“ ხალათი ეცვა, მხარზე რატომღაც ღვედი ჰქონდა გადარტყმული.

ბრტყელი ქამარი ერტყა. ლურჯი „გალიფე“ და ჩექმები ეცვა. ხელში სამხედრო ჩანთა ეჭირა.

მტკიცე ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან, ფეხი ფეხზე გადადო, პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

— ასრულდა ჩემი ნათქვამი, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა მან, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო. შემდეგ მაგიდასთან მჯდომს მიუბრუნდა:

— მაგისტრის შეიძლება შენც მაგრად მოგხვდეს, ჩემო ხარიტონ.

— რა იყო კაცო, აღარ მეტყვი?

— ჰმ. რა იყო? რა იყო და დამტკიცდა შემდეგი: თქვენი ფილიალის დირექტორი ტროცკისტული ნაძირალა აღმოჩნდა, მისი მოადგილე — იაპონიის აგენტი ყოფილა, მთავარი ბუღალტერი — მავნებელია, მოანგარიშე — მოლაყბე...

ხარიტონს თმები ყალყზე დაუდგა. მხილებელს თითქოს არც შეუმჩნევია ეს. მან საველე ჩანთიდან ქალაღი ამოიღო.

— აქ სწერია ყველაფერი. ალბად კომისიას გაგზავნით... არც შენ გაწყენს კლასობრივი სიფხიზლე. ნახვამდის.

ბრტყელქამრიანი კარებისაკენ მიდის. გაფითრებული ხარიტონი უკან მისდევს.

— ახლა სად მიდიხარ...? — ხმის კანკალით ეკითხება.

— ახლა? რაიონში. საქმე მაქვს. თუ გინდა — დავალე მომეცი. სამივლინებო ბევრი არ მინდა, ასიოდე თუმანი იკმარებს.

ხარიტონი დაუყოვნებლივ იძლევა სამივლინებოს, ხოლო მეორე დღეს ხუთ კომისიას გზავნის თავის ფილიალში.

ისევ ფრთხილად იღება კარები სხვა კაბინეტისა. შიგ, ხარიტონის ნაცვლად გრამიტონი ზის. ისიც თავაზითა და უნებური მოკრძალებით ეგებება ამ ბრტყელქამრიანს, რომელიც, არავინ იცის სად მუშაობს, მაგრამ ეს

ტანისამოსი და, თვითონ სუბიექტიც მოსარიდებელი პირის შთაბეჭდილებას სტოვებს.

— მაშ თქვენ, ამხანაგო გრამიტონ, ბზიკაძეს მეგობრობდით?

— ჰო... არა... ესე იგი, ვიცნობდი... მერე რა იყო?

— არაფერი, ისე ვიკითხე... სიფხიზლეა საჭირო. ბზიკაძის ქვისლის მამა ბურჟუაზიული ნაციონალისტი აღმოჩნდა. ამას ემატება ისიც, რომ თქვენი ეკონომისტი დივერსანტი ყოფილა და უშუალო კავშირი ჰქონია ერთერთ აგენტთან, რომელიც მთავარ ინჟინრად მუშაობს თქვენს მშენებლობაზე. გამორკვეულია აგრეთვე, რომ თქვენი ორივე ტექნიკოსი, ინკასატორი, კულტმუშაკი, კლუბის გამგე და გუნდის ხელმძღვანელი დივერსანტებია. თქვენ კი აქ ყურზე გძინავთ... ვინ იცის, იქნება არც გძინავთ... იი, აქ არის მთელი მასალები. ნახვამდის...



- დაიცადე, სად მიდიხარ?..
- მივლინებაში მივდივარ, იქიდან კურორტზე ვაპირებ. თუ გინდა, შენც მომეცი სამივლინებო.
- მოგცემ, როგორ არ მოგცემ...
- საგზურიც გექნება.
- მაქვს, როგორ არა მაქვს...

და კვლავ საიდუმლოდ იღება სხვა კაბინეტის კარები.

— და-ა. — მრავალმნიშვნელოვნად ამბობს ბრტყელქამრიანი, — პირველი საქმეა სიფხიზლე. თქვენი იურისკონსულტი აგენტი აღმოჩნდა. თუმცა ეს არც არის გასაკვირი: თქვენი გამგეობის მდივნიდან დაწყებული, გათავებული არქივარიუსით, ყველანი წვრილობურჟუაზი-

ული, ნაციონალისტური, შოვინისტური და სხვა ამგვარი სულისკვეთებისანი აღმოჩნდნენ. აი აქ არის სათანადო მასალები... არც შენ გაწყენს, ამხანაგო კლაპიტონ, სიფხიზლის გამაფრება... გამომიწერე ერთი სამივლინებო, საქმეებზე მივდივარ და თქვენი ხაზითაც გაგიკეთებთ...

ბრტყელქამრიანი საველე ჩანთაში იწყობს ფულის დასტებს და მიდის.

კვლავ სხვა კაბინეტი. ისევ ბრტყელქამრიანი — თავისი ჩანთით.

- და-ა. ეს არც თქვენთვისაა კარგი..
- რა? — ეკითხება პარტკომის მდივანი.
- ის, რომ თქვენთან სამი აგრონომი მუშაობს და სამივე მავნებელი აღმოჩნდა.
- რას მეუბნები?

— სინამდვილეს. ამას გარდა, სკოლის დირექტორიც და მასწავლებლებიც რასიულ თეორიას ჰქადაგებენ, უეჭველად სათანადო აგენტები არიან... აი, აქ მიწერია ყველაფერი, სულ არის სამოცი ფურცელი...

- საიდან გაიგეთ ეს?
- ალბათ გავიგე. ნახვამდის. თქვენ, როგორც პარტკომის მდივანს, არ გაწყენთ კლასობრივი სიფხიზლის გამახვილება. მე ახლა პარტხაზით მივდივარ რაიონებში...
- მოიცათ, მოიცათ, ამხანაგო.
- ვერ მოვიცდი, მეჩქარება...
- სულ ცოტა მოითმინეთ.
- ვერც ერთ წუთს... — და ბრტყელქამრიანი კარი გააღო.

— აბა, გაჩერდი, თორემ მოვიდა. — გაისმა მდივნის ხმა და შემოტრიალებულ ბრტყელქამრიანს შავი ლულა მიეგზინა შუბლზე.

მის ბინაზე, იარაღთან ერთად, სამიოდე ჩემოდანი იპოვეს ქალაღებით სავსე. ეს იყო „მოსხენებები“ რამდენიმე რაიონის ასეულ მუშაკზე. მათ შორის იყო მასალები ზემოდ-ჩამოთვლილ მუშაკებზედაც. და ეს პროვოკატორი-ცილისმწამებელი გაფუჭებას უპირებდა პატიოსან მომუშავეთა ამ ჯგუფს.

აღლარ-აღლარსან





ბერლინის ქუჩაზე

- მამაჩემმა ორმოცი კილომეტრი განავითარა საათში ველოსიპედით.
- მამაჩემმა კი, მატარებელი დამტვრევას გადაარჩინა.
- ეგ რა არის, მამაჩემმა ნახევარი კილო ძეხვი იშოვნა...

(შოლომ ალექსემის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო)

ერთხელ ამერიკაში მოგზაურობის დროს, შოლომ ალექსემმა წყენით სთქვა:

„მომბეზრდა ეს რონოდები, რკინიგზა, მანქანები, ამერიკის ცივი და ერთფეროვანი ქალაქები, მომბეზრდა აქაური ქარი და წვიმა“. გამიგონეთ, — მიმართა მან თავის პირად მდივანს, — საცაა ჩვენ შეგვხვდებიან, დაიწყება ინტერვიუ. მე ისედაც ცუდად ვგრძნობ თავს. — მოდი როლები შეეცვალოთ, თქვენ იქნებით შოლომ ალექსემი, მე კი — თქვენი მდივანი.

— როგორ? რას ბრძანებთ. — გაიკვირვა მდივანმა

— რატომ შეშინდით? თქვენს სიმაღლეში სამი შოლომ — ალექსემი გამოვა.

და მან დაარიგა, მდივანი თუ როგორ უნდა მოქცეულიყო.

სწორედ ამ დროს მათ მიუახლოვდა დელეგაცია: წინ — ქალები მოდიოდნენ, რომლებსაც ყვავილების თაიგულები მოჰქონდათ. პირველად მათთან მიიჭრა ერთერთი გაზეთის ჟურნალისტი.

— მისტერ შოლომ ალექსემ? — მიმართა მას ჟურნალისტი.

შოლომ ალექსემმა ხელით ანიშნა თავის მდივანზე. მაღალი ტანის მდივანმა თვალები დახარა და არაფერი სთქვა.

— როგორ, თქვენ ვერ ცნობთ შოლომ ალექსემს? — საყვედურით უთხრა შოლომ ალექსემმა ჟურნალისტს.

— რას ბრძანებთ, შოლომ — ალექსემს ვინ არ ცნობს? — დარცხვენით მიუგო მას ჟურნალისტი და „მწერალს“ მიესალმა. ღია მანქანაში ჩასხდნენ და სასტუმროსაკენ გასწიეს.



შოლომ ალექსემი.

და გადაიხარხარა. ჟურნალისტიმ გაოცებით შეჰხედა მას. მიხვდა რაში იყო საქმე, უბის წიგნაკი ამოიღო და შოლომ ალექსემს მიმართა.

— ბოდიში მისტერ. განა შეიძლება თქვენი არ ცნობა?

**

იგივე ჟურნალისტი მეორე დღესვე სასტუმროში მივიდა შოლომ ალექსემთან: მწერალი იჯდა თავის ოთახში და კითხულობდა გირშის არაკების კრებულს სახელწოდებით: „მელნის ასი წვეთი“.

დაპარაკი ჩამოვარდა არაკებზე.

— თქვენ კარგად ერკვევით არაკებში? — ჰკითხა მას შოლომ ალექსემმა.

ჟურნალისტს არ მოეწონა მისი ასეთი შეკითხვა და უპასუხა:

— დიახ, ძალიან კარგად ვერკვევით. თუმცა ეს არაკები კი, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

— მაშ, თუ ასეა, მე ახლავე მოგაწოდებთ წასაკითხად ერთ ჩემ არაკს. — და შოლომ ალექსემი გავიდა მეორე ოთახში.

გირშის არაკების წიგნიდან ერთი არაკი ამოწერა და ჟურნალისტს გადასცა. ჟურნალისტიმ არაკი წაიკითხა და სთქვა:

— რა შედარებაა გირში და შოლომ ალექსემი. აი მესმის თქვენი ეს არაკი.

— თქვენ სცდებით, მისტერ, ეს არაკი ჩემი არ არის. მე ის გადმოვწერე გირშის კრებულიდან. — ღიმილით უთხრა მას შოლომ ალექსემმა.

— მაშ, გვიბოძეთ კიდევ წავიკითხოთ. — მიმართა მას ჟურნალისტი. მწერალმა მას ხელმეორედ გადასცა არაკი.

— პირველად არაკი მართლა მომეწონა. ახლა კი ვხედავ, რომ შევმცდარვარ. — განა ეს შოლომ ალექსემის კალამია?

მწერალი ერთხანს სდუმდა. მისი თვალები ბრწყინავდნენ, იცინოდნენ.

— ბოდიში, ეს არაკი მართლა ჩემია. — სიცილით წამოსთქვა მან.

ჟურნალისტი დაიბნა. არ იცოდა მისთვის რა ეთქვა.

**

ნიუ-იორკში ყოფნის დროს, შოლომ ალექსემთან მივიდა ადვოკატი, რომელსაც სმოკინგი ეცვა და ჯიბეში ხელები ჩაეწყო. ადვოკატმა მწერალს მიმართა:

— შოლომ ალექსემ, პირველად ვხედავ მწერალს, რომელიც ასეთ საინტერესო ანგლოტებს კითხულობს ებრაულ ჟარგონზე, როგორც თქვენ.

შოლომ ალექსემმა ადვოკატს ახედ-დახედა და ღიმილით უპასუხა:

— მეც პირველად ვხედავ ნიუ-იორკის ადვოკატს, რომელსაც ხელები თავის საკუთარ ჯიბეში ჰქონდეს ჩაყოფილი.

**

შოლომ ალექსემს აუარებელი მიწერ-მოწერა ჰქონდა კორესპონდენტებთან და კერძო პირებთან.

მას არასდროს არც ერთი წერილი უპასუხოდ არ დაუტოვებია.

ერთხელ ერთმა გამომცემელმა შოლომ ალექსემს სთხოვა შეედგინა კრებული თავისი პირადი წერილებისა. მწერალმა გამომცემელს თანხმობა აცნობა.

— გენიალური აზრია, მხოლოდ მიბასუხეთ რამდენი შეგიძლიათ მომცეთ კრებულში?

გამომცემელმა უპასუხა:

— ასი მანეთიო.

— ცოტაა. — აცნობა მწერალმა გამომცემელს.

— ას ოცდახუთი.

— ცოტაა.

— ას ორმოცდაათი.

— ცოტაა.

— ორასი.

— ცოტაა.

და ასე, მომატებით გამომცემელი ავიდა ათას მანეთზე. მაშინ შოლომ ალექსემმა გაიფიქრა: გამომცემელს ჩემი წერილები იმდენი დაუგროვდა, რომ თვითონ შეუძლიან კრებულის გამოცემაო.

— თანხმა ვარ, — აცნობა ამის შემდეგ შოლომ ალექსემმა და მასთან მიწერ-მოწერაც შესწყვიტა.

თარგმნა N.



მდივანმა თითქოს მდგომარეობა შეიფერა. ჟურნალისტის შეკითხვაზე მოკლედ უპასუხებდა. მდივანი ფიქრობდა სასტუმრომდე თავი ღირსეულად დაეჭირა. გზაში მან გადახედა შოლომ ალექსემს, რომელიც იჯდა და სიცხის ვერ იკავებდა. მდივანმა ვერ მოითმინა

1. მჯობის მჯობანი

მე ვიცნობდი ერთერთი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს.

— რა გეშველებოდათ რომ სტანდარტი არ ყოფილიყო ჩვენს სამეტყველო ლექსიკონში? — გავეხუმრე ერთ საღამოს.

— შენი მტერია მაშინ, — მაგ სიტყვით ვიბრუნებ სულს.

მართლაც სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ისე დავალებული იყო ამ სიტყვისაგან, რომ ძველი დრო რომ ყოფილიყო, შესაძლებელია, ერთი პატარა ეკლესიაც აეშენებინა სიტყვა „სტანდარტის“ საქებ სადიდებლად.

— თქვენს ფაბრიკაში შეკერილი შარვალი ტიკინასათვის შეიძლება გამოდგეს. რად კერავთ ასე პატარა ზომას? საცინად ხომ არ გვიგდებ მოქალაქეებს? — ეუბნებოდნენ მას. ის კი არხეინდ უპასუხებდა:

— რას ამბობთ? როგორ გეკადრებათ. ჩვენ არაფერ შუაში ვართ, სტანდარტი განსლავთ დამტკიცებული სტანდარტი — ხომ ვერ დავარღვევთ?

არ ვიცი, მომხმარებლების ცოდვამ უწია, თუ ლევენდარულმა მიქელ გაბრიელმა, ჩემი ნაცნობი დირექტორი გარდაიცვალა. ჭირისუფლებმა დაკრძალვის ბიუროს კუბოების მალაზიას მიაშურეს და სახელდახელოდ გამზადებული კუბო მოიტანეს.



— უდიდესი ზომა ეს არის. მეტი არ იქნება. — გააფრთხილა ჭირისუფლები გამყიდველებმა.

როდესაც დირექტორის ცხედარი ასწიეს, დირექტორის ვერც მხარბეჭი და ვერც თავფეხი კუბოში ვერ ჩაეტია.

კუბოების მალაზიიდან დურგლებს გამოუძახეს.

— რაღაც მოახერხეთ. უნდა ჩატიოთ, თუნდ კუბო დაარღვიეთ... როგორმე ჩატიეთ... — ეხვეწებოდა მათ მიცვალებულის ჭირისუფალი.

— რას ამბობთ. როგორ გეკადრებათ. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ვერ დავარღვევთ: სტანდარტი განსლავთ, დამტკიცებული სტანდარტი. უპასუხებდნენ კუბოს ოსტატი მედურგლები.

2. მზადება

— დარეჯანი ემზადება უმაღლეს სკოლაში მისაღებად საკონკურსო გამოცდებისათვის.

— საგნება ამზადებს?

— არა. პროტექტორებს, რომ დიდ ნიშნები დაუწერონ.

3. დიპლომა

— სად მიდიხარ მომავალ ზაფხულს აგარაკზე?

— არ ვიცი, მაგრამ ისეთი ნიშნებია, რომ ალბად ბორჯომში მომიხდება წასვლა.

— ნაწლავები გტკივა?

— არა.

— კუჭის ავადმყოფობა გაქვს?

— არა, ისეთი კუჭი მაქვს, რომ რკინას მოინელებს.

— გულის ავადმყოფობა ხომ არ დაგჩემდა?

— გულიც სალი მაქვს.

— სიასუქნე გაწუხებს?

— რომ არ მაქვს. რით შემაწუხებს.

— მაშ რა გინდა ბორჯომში საავარაკოდ?

— პირადად არაფერი, მაგრამ ჩემს უფროსს აქვს ყველა ეგ სატკივარი და რას იფიქრებს მე რომ სხვა აგარაკზე წავიდე?

4. საქმიანი მივლინება

სოფელ ჭარხალეთის ერთერთი დაწესებულების თანამშრომელი მეკუჭნავიძე დირექტორის განკარგულებით თბილისში მოავლინეს. უკან დაბრუნებისას მეკუჭნავიძემ მთავარ ბუღალტერს დავიდუს ცოდვილადეს ასეთი ანგარიში წარუდგინა:

1. დღიური ხუთი დღისა 5 მაისიდან — 10 მაისამდე $5 \times 25 = 125$ მან.

2. ღამის გასათევი $4 + 15 = 60$ მან.

3. სამზავრო:

ჭარხალეთიდან — თბილისამდე 32 მ. 40 კ. თბილისიდან — ჭარხალეთამდე 32 მ. 40 კ.

4. სიცოცხლის დაზღვევა მზავრობის დროს 2 მ. 50 კ.

სულ 252 მ. 30 კ.

რა საქმისთვის წავიდა, რა მოიტანა ჭარხალეთში მეკუჭნავიძემ მისი „ძვირფასი“ სიცოცხლის ჩართვით. ორას ორმოცდათორმეტ მანეთიან მივლინებიდან?

ორას ორმოცდათორმეტ კაპიკად ღირებული ოთხი ელექტრონის ნათურა მისი დაწესებულების ოთახების გასანათებლად.

8—ზა

ნახ. მიხ. ჭიაურელიძისა.



თავის დირექტორთან

— პიესა მოვიტანე, მინდა წავიკითხოთ.

— რა წავიკითხვა უნდა, სროლა არის?

— არის.

— ყვირილი არის?

— განსლავთ.

— მისაღებია.

„ნიანვის“ ზიზკუგუაჲდი სუკვიდები

ლიდი ფიზიკოსი
 12. საბოლოო - დინამო-ლიტონიკი ახსნაგუაჲდი უახსნაგა
 12. 6. 75. რინდომი-სანსონი
 4. სანააახსნაგუაჲდი უახსნაგა
 4. სანსონი-სანსონი
 5. სანსონი-სანსონი
 6. სანსონი-სანსონი
 7. სანსონი-სანსონი
 8. სანსონი-სანსონი
 9. სანსონი-სანსონი
 10. სანსონი-სანსონი
 11. სანსონი-სანსონი
 12. სანსონი-სანსონი

დავბა ზეფულო. ფიზიკოსური სეზონის გულგებური „სენი“ შეპრობილი დღეში სამეგრე დღეობებმ წერებების დასაწმენდელად წვეთებს. ვინ იცის რამდენსა და რამდენსა კალიფორნია მიატოვა ვაჟი, იმის გამო, რომ ფეხბურთეზ დასაწმენდელი მიღობი ვერ უზოგან (ისიც დასწო ტრიბუნის). ვინ იცის რამდენის გული სტეგის ქვლიანში, მათონში, ჩითონში და სტეგან, როცა თბილ სწოთა ორი გენი ტროიპორტს „ამტრეკს“ ამბავტრულ კვლად ფეხბურთის ცხოვრება, მსაღობი, მარამ ამ სკეში მოლო, წალოც ვეფეს და ახს. შესაგებ ვაჟობი ეს სწენი კროკატრები, რომლებიც ვასელო სეზონის და წვედენდელ „სელოს“ გამოიღობიდან არის მიღებულნი.




ზოგიერთი ამხანაგური მატის შედეგი 11:11 (გაგრძელდება საავადმყოფოში).

ნახატები დონისბა.



მოდურბატი მუხამის წინადადება. ანუ როგორ უნდა თამაშდებოდა, ქარიშხლიან ამინდში.



ჩავიდა მოქალაქე ფიზიკოსების ბაღის საბანო აუზზე შეგან... და „განისა“ ტანი მინე მუქობაგან.



—რა ფურტებს ამდენ თამაშს? მიიღი, ნახე ვარი შენ ნახე, ნახე ვარს მე დავდებურები და იმ კვირაში, როცა არცერთი თამაში არ იქნება და ავთისუფლები გიქნებთ—ერთმეორეს ვუამბობ.



ბაღამშიდველი:—ვის ბუნებ შეურაცხუვას, ძიავან, მე სიმ სტადიონის საღარი არა ვარ, დასაჯდომს მიღობი არ მქონდეს ვასაუღობი...




—რას გვიმტრებთან ცილიონის მესვეტრები, საპირფარეოშითი სარგებლობა თუ აგვიკრძალა წაუღი მიანიც თავისუფლად დავაღვივიწონ.



წაღში დაუზმარებელ საზოგადოების ტმუნება ეს სტრაიო.



მეურტელებსათვისაც საპირია წინადადება: ამხანაგებო!



პრაქტიკის შედეგ, თეატრი

— შეხედე ნიკოს, რას შვრება, პრემიერას ლანძღავს, ალბად არ გაუგია, რომ ამალამ თეატრს ბანკეტი აქვს.

სურამ-ძირულის გზატკეცილს როდისმე გაიგონებდით (თუ არ გინახავთ, მიხედვით) თქვენი მახვილი გონებით) გზა მშვენიერი, ლამაზი უტალახო და მაგარი დიადი შრომის შედეგი — მშრომელთა ნაამაგარი. ჰაუ. გვეშველა — ამბობდნენ გზები გვაქვს ახლა რა გვიჭირს ავტობუსებში ჩავჯდებით, არ მოგველეება ნაბიჯი.

* * *

ბორჯომმა თითქოს ესმინა ხალხის ნება და სურვილი მანქანით მოგვემსახურა — ძრბის დამშრალი ცუროვით. დანჯღრეულ ავტომანქანებს მუდამ მუცელი სტკიოდათ მგზავრებს იმათი ლოდინით ცრემლები ჩამოსდიოდათ. ვითმენდით, თუმცა ვიყავით უკმაყოფილო იმითა, ბოლოს სულ გაჰყარან ისინი კუდიან ვარსკვლავითა. შოფერები ტყავს გვაძრობენ გამოუთქმელად პირითა „ხალტურისტებმა“ აგვიკლეს აგვიკლო მათმა ჯირითმა ბორჯომის „საქავტოტრანსმა“ ჩავგთალა როგორც ბუზები, ჯერ მოგვაჩვენა, შემდეგ კი — მოგვისპო ავტობუსები..

ხველი

ბოლოდნადი აგებები

ყოჩის თავი ბორჯომის მიწაზე

ბორჯომში თვალსაჩინო ადგილას მოეწყო სტახანოველთა დაფა. ამ დაფას ამშვენებს ბორჯომის საწარმოების მოწინავე ადამიანების სურათები, მათი საამყო მუშაობის მაჩვენებლები.

მშვენიერი წამოწყებაა. აუვი არ ითქმის.

მაგრამ ამ ბოლო დროს მნახველების აღფრთოვანება გაცივებამ შესცვალა. გამოიწვია ეს პატარა ვარემოებამ: სტახანოველთა სურათების გვერდით გამოფინეს შვეიცარული ბულისა და თუშური ყოჩების სურათებიც. ამბობენ, ეს ბორჯომის მიწვანის თაოსნობით მოხდა.

ჩვენის აზრით, გასაოცარი ის კი არ არის, რომ დაფაზე ცხვრების და ბულების სურათებია გამოფინილი, არამედ ის, რომ როგორც სჩანს, თვით მიწვანში ერთერთ მაგიდასთან მოხრდილი ყოჩის თავი უნდა მუშაობდეს.

მოკაპული აზროვნება

სოფ. მუხრანის კლუბის წინ გამოაკრეს მშვენიერ ჩარჩოში ჩასმული კონტა აფიშა:

„საბჭოს კლუბში ნაჩვენები იქნება ხმოვანი კინო-სურათი ქართულ ენაზე: „???“

დასაწყისი 9 1/2 სათზე.“

როგორც „ნიანგმა“ გაიგო, ეს იყო ორდენოსან რეჟისორ მიხ. ქიაურელის მშვენიერი ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“. რაც შეეხება მისი სახელწოდების მოკაპული კითხვითი ნიშნებით გამოხატვის მუხრანელი კლუბოსნების მოკაპული აზროვნების შედეგად რაც კინოსენსაციად არ უნდა ჩაითვალოს.

ტელეგრაფისტები საიქიოდან

თბილისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მცხოვრები მოქ. მ. გოგიაშვილი ბაქოში საჩქაროდ გაიძახეს — ცოლის ავადმყოფობის გამო. ბაქოში ჩასულ გოგიაშვილს ცოლი უკვე ჯანმრთელად დახვდა, რაც ოჯახის წევრებს № 15/15 დეპეშით აცნობა თბილისში.

მაგრამ დახედეთ ყისმათს: — თურმე მისი დეპეშა ისეთ ტელეგრაფისტებს ჩაუვარდათ ხელში, რომელნიც ეძებდნენ შემთხვევას, რომ ყველა მოქალაქეს აცნობონ განსვენებული პოეტის ვაჟა-ფშაველას აწინდელი ჯანმრთელობის ამბავი. მათ გოგიაშვილის ოჯახს — მიღებული დეპეშა ასეთი ტექსტით გადასცეს:

„თბილისი, გოგიაშვილს წრტ. ვაჟა-ფშაველა კარგადაა წრტ. მიშა. წრტ.“

ამრიგად, გამორკვეულია ვაჟა-ფშაველას ჯანმრთელობა, მაგრამ საჭიროა კავშირგაბმულობის სამმართველომ ისიც გამოარკვიოს, თუ როგორ ახერხებენ აღნიშნული ტელეგრაფისტები საიქიოში მუშაობის მეთავსებას?

მარტივი არითმეტიკა

მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკაში მშვენიერ გრეხილი სკამებს ამზადებენ. ეს ვიცოდით, მაგრამ ფაბრიკის ადმინისტრატორები, რომ არითმეტიკით ყოფილან გატაცებულნი, ეს მხოლოდ ახლა ირკვევა. ჩვენ, მაგალითად აღნიშნული ფაბრიკიდან მივიღეთ ასეთი არითმეტიკული ამოცანა:

„მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკის მუშათა საცხოვრებლის თითო ოთახში 8 მუშა ცხოვრობს, ოთახში კი — დგას 2 სკამი და ერთი საწოლი. გამოიანგარიშეთ რამდენი სკამი და საწოლი შეხედება თვითეულ სულს?“

ჩვენის აზრით, ერთობ ადვილი საქმეა ამ მარტივი ამოცანის გამოცნობა: ერთ მუშას შეხედება საწოლი, ორს — თითო სკამი, — ხუთს — წვალეა — უავეჯობის გამო, ხოლო ადმინისტრაციას — ნიანგის ჩანვალი.



ქართული ბიზლიროთიკა

ეს პატარა ისტორია მოხდა თბილისში, ერთ პატარა სადალაქოში.

დილით ჩვეულებრივ ფუსფუსებდნენ დალაქები: სამართებლებს ლესავდნენ, ამოქნარებდნენ და ყვებოდნენ, თუ რომელ მათგანს ენახა უფრო მაგარწვერიანი კლიენტი.

ერთმა სთქვა:

— შემოვიდა ოხერი, დაჯდა და პირველად გასაპარსი ფასი იკითხა. დავუსვი ერთი სამართებელი, მეორე. ისეთი წვერი ჰქონდა, ჯაგარი რა არის! საათნახევარს ვპარსე, ოფლი ვიღინე. ადგა და ათი შაური გადინა: ერთი თვის წინეთ აქ გაევიპარსე, ფასი არ ვიცოდი, მანეთნახევარი გადვიხადე და ახლა ქვით ვიყუთო.

სხვებმა გაიცინეს და შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სადალაქოში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ეგრობულად იყო გამოწყობილი. ლამაზად გამოიყურებოდა. „გამარჯობა“ სთქვა და იმავე სიტყვით უპასუხეს.

დალაქებს მცირეოდენი საქმე გაუჩნდათ:

— იცნობ?—ჰკითხა ერთმა მათგანმა მეორეს.

— რა ვიცი, რამდენი მუდრეგი დაეხეტება ამ ქვეყანაზე.



...—ასეთ მუშაკებს საბჭოთა დაწესებულებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მიიღეთ ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მოიხსნებით...

— მაგარწვერიანია?
— ალბათ, ვილაც „შიშკა“ უნდა იყოს.

შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და მანამ არ დარღვეულა, ვიდრე უცნობი კლიენტის დალაქმა თავისი საქმე არ დაამთავრა.

წვერგაპარსული უცნობი კლიენტი სკამიდან წამოდგა, ჯიბიდან ნომერი ამოიღო და პალტოების ჩამოკიდებულ ქალს რიფსიმეს მიაწოდა. მაგრამ ვიდრე ის პალტოს მიცემდა ასეთ სურათს შეესწო: მის წინ სხვა ცილინდროსანმა მიაწოდა ნომერი, თან რიფსიმეს ორი აბაზი ხურდა ფულიც ჩაუყარა მუჭში.

რიფსიმემ პალტო მიართვა; ხურდა ფული დაითვა და უცნობის გამოზრუნებისას გასაგონად სთქვა:

— ნამუსი აღარ არის ქვეყანაზე; მეზაშვები მანეთზე ნაკლებს ჩუქებას არ კადრულობენ და ცილინდრი კი ორ აბაზს იძლევა.

ხნიერმა „ცილინდრმა“, რასაკვირველია, იწყინა ასეთი უზრდელი გამოთქმა. მაშინ ახალგაზრდა მიუბრუნდა რიფსიმეს:

— თქვენ ხელფასს ლებულობთ?
— კი ბატონო.
— ყოველთვის თავის დროზე, ხომ?
— დიახ.

— ჯამაგირში აღებული თქვენი ფული გადის ჩვენს კოოპერატიულ მაღაზიებში, ხომ?

— დიახ.
— საკოლმეურნეო ბაზარზედაც, ხომ?
— რასაკვირველია.

— ბურსს, ხორცს, კარაქს, საპონს ხომ ყიდულობთ თქვენი ფულით?

— დიახ, მერე რა ვნებათ?
— გყოფნით?
— დიახ, მაინც, რაო?

— რამ გაიძულათ, რომ იგლახათ?
— მე სხვანაირად მგონია, — გაკაპასდა რიფსიმე, — გლახა იმას უნდა ერქვას, ვისაც ორ აბაზზე მეტის ჩუქება არ შეუძლიან.

უცნობმა კლიენტმა სადალაქოს გამგე იკითხა და მიმართა:

— ასეთ მუშაკებს საბჭოთა დაწესებულებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. მიიღეთ ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მოიხსნებით.
და წავიდა.

სადალაქოს გამგემ მხოლოდ უცნობის წასვლის შემდეგ გაბედა გაბრაზება:

— ვა, რამდენი ოხერია, ყველა ჩემი ხაზეინია. რა კაკლის ტოტი მოვუტებე, რა უნდა ჩემგან?
ერთნა დალაქმა უცნობი გაამართლა.

— როგორ თუ რა უნდა, იქნებ ორ აბაზზე მეტი არა აქვს. კაცს არ უნდა შემოესვლებოდეს?

მეორემ სთქვა:
— ვილაც არის, ეტყობა დიდი კაცია. ხო და ჩვენც თუ ვერ შეგვაშინა, მაშ რილას დიდი კაცია? მესამემ დაადასტურა:

— ხო, ეგ დიდი კაცია, ჩვენ მეზობელთან მოდის ხოლმე ავტანობილით, მუდამ ცილინდრი ხურამს.

შემინებულმა გამგემ რიფსიმეს დაუძახა:

— შენი გულისათვის რამდენ ხათაბალას უნდა გადავიკიდო. გეუბნები დაკვირვანი მეთქი, რაღა. ვა, რა დედაკაცი ხარ. უნდა მოგხსნა... მაშ მე მომხსნა შენი გულისთვის?
და მოხსნის ბრძანება დასწერა.

* * *

ხუთი დღის შემდეგ იმავე სადალაქოში შემოვიდა ახლა უკვე ნაცნობი კლიენტი, იმავე ეგრობულ ტანსაცმელში, ისევ ლამაზად გამოიყურებოდა.

სადალაქოს გამგემ მიმართა:
— მოგხსენით, აი.

— ვინ?
— რიფსიმე, მაშ რა, თქვენ რომ გაწყენინათ, ვა ბატივბდი?

— ჩემი წყენება რა შუაშია. ის ისეც უნდა მოგხსნათ, — სთქვა კლიენტმა და დაამატა, — იცი რა გითხრათ, ამხანაგო, თქვენ ჩემთან მლიქვნელობა არ გესაჭიროებათ. მე თვითონ ამ დარგის მომუშავე ვარ და ასეთ საქმეებში ვერკვევი.

— რას ბრძანებთ, რომელი დარგის?
— როქელის და სადალაქოსი, მე თითონ დალაქი ვარ, საუცხოოდ ვერკვევი ჩვენი დარგის საქმეებში და უნდა მოგახსენოთ, რომ არა მარტო ის თქვენი რიფსიმე, თქვენც ვერ მუშაობთ ბატივბდით.

მეხის დაცემა არ შეცვლიდა ასე სადალაქოს გამგეს. სიბრახისაგან კინალამ ხელზე იკბინა. უკვე კარგად გაცნობილ კლიენტს ხმადაბლა შეუკუროთხა და რადიოსავით აყვირდა:

— როგორ, მე თითონ დალაქი, დალაქმა შემაშინოს და თანამშრომელი მომახსენინოს? აქ აფერისტობაა, ჩემმა მზემ! ჰმ, აი თურმე ვინ ყოფილხარ!

და ბრძანება დასწერა რიფსიმეს სამსახურში დაბრუნების შესახებ, როგორც უდანაშაულოს.

* * *

ორი დღის შემდეგ სადალაქოს გამგეს ასეთი ბრძანება ედო წინ, სადალაქოების გაერთიანების უფროსის მიერ გამოგზავნილი:



...მეხის დაცემა არ შეცვლიდა ასე სადალაქოს გამგეს. ბრაზისაგან კინალამ ხელზე იკბინა...

„სადალაქოს გამგე ნესტორ იმედაძე მოიხსნას სამუშაოდან უკანონო მოქმედებისათვის, რაც გამოიხატა თანამშრომლის კანონიერად მოხსნისა და შემდეგ უკანონოდ აღდგენაში.“

საფუძველი: „დალაქის იოსებ ჩიგოგიძის საჩივარი და გამომრკვევ კომისიის ოქმი № 13.“

წინ მოხსნის ბრძანება ედო სადალაქოს გამგეს ნესტორ იმედაძეს და ფიქრობდა:

„დიდი კაციაო ყველა ამტკიცებდა, ბოლოს დალაქი გამოდგა, ბოლოს ისევ დიდი კაცი გამოდგა, მაგრამ მაინც რომ დალაქია? ნუთუ დალაქი დიდი კაცია?“

დალაქი თუ დიდი კაცია, მაშინ მეც დიდი კაცი უნდა ვიყო, მაგრამ რომ არა ვარ დიდი კაცი? მაშ ვიღაა დიდი?

ასე, დიდხანს ფიქრობდა სადალაქოს ყოფილი გამგე ნესტორ იმედაძე, ბოლოს ისევ ბრძანებას დახედა და გასაგონად წამოიძახა:

— კანონია, კანონი.


ერთმა მომუშავემ განუმარტა:

— სწორია, საბჭოთა კანონი დიდი კაცია, მაგრამ საბჭოთა ადამიანიც დიდი კაცია; პროფესია; თუ იგი შრომასთან არის დაკავშირებული. ღირსების საქმეა.



**უიუკედგუკის სავარდებულო
სწავლება**


თანახმად ქუთაისის კომუნისტების ზოგიერთი მუშაკის აზრისა, ქუთაისის განაპირა ქუჩებზე მცხოვრებნი ვალდებული არიან შეისწავლონ ტანვარჯიში და მარტივ ხტომა. სამისოდ ქვაფენილები და ქუჩის შუა



გული იმრიგად არის „გადაკეთებული“ (ორმოები და ჩატეხილი ქვაფენილები), რომ ყოველ სამი ნაბიჯის შემდეგ უნდა შეხტე-მემოხტე. მოსახლეობა დიდის ხალისით ჩაება ამ ვარჯიშში, რაც აყვანილია სალტო-მარტალემდე.


„მჯდომარე ვარჯიში“

მორცხე მოქალაქეს შეუძლიან ქუჩაში ვარჯიშობის მაგიერ, ავტობუსში ჩაატაროს „მჯდომარე ვარჯიში“ — სკამიდან ჭერამდე. მხოლოდ საჭიროა ტანის სისწორით დაქერა, რომ გვერდზე გადაქანების დროს



ფანჯარა არ ჩაგემტერეს და მოქალაქემ ხელი არ დაიკრას (რაც ხშირია): ამრიგად, საკმარისია თეთრი ხიდიდან რკ-გზის სადგურამდე მიიღოს „მჯდომარე ვარჯიში“, რომ მორფდალუგივით გადმოგორდეს ავტობუსიდან

ქუთ. კომგანის გულისხმიერების საფუძველზე, და „სანიტარული წესების დაცვის მიზნით“, ქუთაისის მცხოვრებთათვის შემოღებულია უფასო და სავალდებულო შხაპები. სამისოდ ქუჩების ტროტუარებზე მოწყობილია მიღები, რომლებიც შევრთებულია სახლის სახურავებთან. წვიმის დროს ამ მიღებს მოქალაქე



ვერ ასცდება და ძალაუნებურად ისარგებლებს „შხაპებით“. ამრიგად, თავიდან ფეხებამდე ჩარეცხილ-ჩასველებულნი განაგრძობენ გზას. „შხაპების“ მიღება სავალდებულოა ყველასათვის, როგორც ზაფხულობით, ისე ზამთრობით. ექიმების დასკვნით, ეს შხაპები დიდად უწყობს ხელს სურდოს, გრიპს და საერთოდ ტანისამოსის უსაპნოდ რეცხვას

კოსტაიდი

მემთხუჯუნი

კუჭის სიგანიეა

სოფ. არგეთის (ჭიათურის რაიონი) კოლპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგობერიშვილმა კოლპერატივში ყოფნის დროს უეცრად გადაცლაპა ორი თოფი მატერია, ერთი ველოსიპეტი, ერთი პატეფონი და სხვა მრავალი ნივთი, რის გამოც კუჭის სიგანიერე დაემართა და უვნებლად გადაარჩა.

შარო

უეხარი ბაიხნი

სკრის რკ. გზ. სადგურის უფროსი წუნელ სადგურში დიდი „სინათლის“ გამო სკამს წამოედო და იატაკზე დაცემისას შუბლზე სამი ახალი კოპი შეიძინა

კლიმაგო

ბაგა ვადუონით

რაილმასკომში გამგზავრებულ მარელისის სოფ. საბჭოს თავმჯდომარეს გზაზე ორგან ხიდი ჩაემტერა, ოთხგან ტალახში კისრამდე ჩაიფლო და ბოლოს გადასწყვიტა საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულება ისევე ტელეფონით ეცნობებინა აღმასკომისათვის.

ალალ-მართალი

„ლეკი ბესო“

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტის სტუდენტმა ბ. კალანდარიშვილმა, ხულიგნობაში „ლეკი ბესოს“ სახელით ცნობილმა, მცხეთაში ექსკურსიაზე ყოფნისას იძრო დამბაჩა და სტუდენტები გამოიწვია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში: მილიციამ შმაგ რაინდს, დასამშვიდებელი ცივი ტილოები დაადო.

ბახუსი

ცხი-ცხი ამბები

თავესხა სასაილოში

დიდვაკის (ორჯონიკიძის რაიონი) სასაილოს გამგე კოსტა დიდმუცელასთან გუშინ გამოცხადდა ათამდე მოწინაურებული ძაღლი, რომლებიც გამგის მიერ ნიშნის მიცემისთანავე სასწრაფოდ დაერივნენ მაგიდებზე გაშლილ პურმარისს, შთანთქქეს ორმოცამდე სადილი, დაკბინეს ხუთი მოქალაქე და გაჭყანტეს ოცდახუთმეტი მოსადილე.

ბუიკი

„ბრძნული“ მოსაზრება

სოფ. ლიხაურის (მანარაძის რაიონი) სამკითხველოს გამგე ტ. ცეცხლაძე სამკითხველოს ყოველდღიურად თითო საათით ალდებს იმ მოტივით, რომ სიცხეები დაიწყო და მკითხველებს ვაი თუ ბევრი კითხვით თავბრუ დაეხვეს და ექიმის მოყვანა ჩემი საჭირბოროტო გაზდესო.


მოყვარე

ბანათის...

სიღნაღის ქალაქის საბჭოს მესვეურებმა წუნელის ლამის 10 საათზე 12 ქინქლილით გაანათეს მათი „მზრუნველობით“ უდროოდ დაბნელებული ელსადგური.

სიღნაღელიძე






იტალიური ვეზაკი.

თვალს ნაბავს და ჩაულაპვას ის უპირებს „საკბილოს“
ვნახათ—კბილი ჩაემტვრეს, აკვნესოს და აკივლოს.



იაპონური ფინანსების უკანასკნელი სახსრების ამოძარცვა.



ქრივიქოსი კონსერვა

— რა კვარტეტია ოთხი კაცისაგან შემდგარი კვარტეტი? დაუმატონ ერთი თოთხმეტი კაცი, შეიყვანონ შიგ მოცეკვავეები, აი კვარტეტი მაშინ იქნება...

ქრიალოსანი

ილიას ოგელისკი

წიწამურში ილიას ობელისკის გახსნას, მწერლების ჯგუფი და-
ესწრო. გარს უვლიდნენ ამ შესანიშნავ სახსოვარს და მის ავტორს,
სახალხო მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს სხვადასხვა შეკითხვებს აძ-
ლევდნენ.

სერგო კლდიაშვილიმ ეჭვი გამოსთქვა:—რაღაც რბილი ქვა სჩანს,
ეტყობა მალე დაზიანდებაო.

ნიკოლაძემ განუმარტა, რომ ეს ობელისკი თერთმეტ საუკუნეს
გასძლებსო.

— აგერ ვნახავთ, ბატონო, მაგასაც მოვესწრებითო,—დაიცვა
თავისი მოსაზრება შემკითხველმა.

სამკჷაუაშვილი

მწერალ გიორგი ლეონიძეს ერთი ცრუ კოლექციონერი გადაე-
კიდა—გვარად სამკჷაუაშვილი. იგი ხშირად მიდიოდა მწერალთა მუ-
ზეუმში და თავს აბეზრებდა ექსპონატები მაჩვენებო. ყველა ნახატსა,
თუ დოკუმენტს ის თავისებურ „ახსნა-განმარტებას“ აძლევდა, ყვე-
ლას, ჰკიცხავდა ყველას—ჰკუას უწუნებდა.

— ჰკუაზე თუ მიდგება, ჩემი ჰკუა სჯობია, რადგან ამას გვა-
რიც მიმტკიცებსო ტრაბახობდა ის.

— რა გვარი ბრძანდებითო?—ჰკითხა ლეონიძემ.

— სამკჷაუაშვილი ვახლავართ ბატონო.—ისე, რომ სამი ჰკუით
აზროვნება შემძლიან,—რას იტყვით ჩემს გვარზე?

— ერთ ხალხურ ანდაზას მოგახ-ენებთ:

— რომელს ბატონო?

— „სამი ხალთა გაქვს ჰკრიაო, არც ერთში არ გიყრია“ო.

ჩასწერა და „ნიანგისათვის“ დაამუშავა **ს. ფაშალიშვილი**მა.

სვანლარკოსანი

შედის ლადო დუქანში,
მაგრამ დახეთ რა ხდება:
შარვალს ტანზე იზომებს—
კანჭებამდე არ სწვდება.

გულმოსულად იძახის:
—სთქვით, ეს ვისი ბრალია,
აქ „ტრუსიკებს“ ჰყიდით თუ
ეს, მართლა შარვალია?..

მოითხოვა ხალათი
საზაფხულო—ტილოსი,—
ჩაცმაში ეხმარება
მისი ცოლი, ნილოსი.

მაგრამ დახეთ რა ხდება:
ვერც ამაში ჩავიდა
და ლადო გულმოსული,
ფაბრიკაში წავიდა.

დირექტორი მონახა
დიდის ვაი-ვაგლახით,—
უცხუნა და უცხუნა
საყვედურის მათრახი.

დირექტორმა პასუხად
ვერც „კი“ უთხრა, ვერც „არა“,

და ეს დანაშაული
სტანდარტს გადააბრალა...

მაგრამ მომხმარებელი
სტანდარტში ვინ ჩასტია?—
ზოგი გოლიათსა ჰგავს,
ზოგიც—ჩია კაცია.



და მკერავ ფაბრიკის წინ
ეს კითხვა იბადება:
მაშ უსტანდარტო ტანის
ნურგინ დაიბადება?

ძნელოლლი

წარმოგიდგენიათ, რომ კაცმა, რანაირი მოყვანილობისაც არ უნდა იყოს იგი, რა წონისა და მიწისკენ მიმსწრაფი ძალისა, რომ დღეში ექვსი წყვილი ფენსაც-მელი გაცივითოს? ექვსი წყვილი ტუფლი, ტყავის ძირითანი, ყავისფერი, თუ გნებავთ შავიც.

ალბათ მკითხველი იტყვის: დიდი რამ აღმოგიჩინია. ზოგიერთი ჩვენი ფაბრიკის ნაწარმოების ხარისხი რომ ვიცი დღეში ხუთმეტრი წყვილის გაცივთაც ნუ გშურსო. მაგრამ გამოსცადონ საკუთარ თავზე: იყიდონ ლუქის ფენსაცმელი და სანაძღვოს ვდებ თუ სამ დღეს მაინც არ გაუძლოს.

ჩემი ფელეტონის გმირს კი სამ საათზე მეტს არ უძლებს თითო წყვილი ტუფლი. სამ საათში კი, რა არის სამი საათი, შეიძლება სახლიდან ფენსაცმელების მალაზიაში მისვლაც ვერ მოასწრო! და რა უბედურებაა, რა ტრადედია, როცა მალაზიიდან სახლში დაბრუნებულ კაცს სადმე, დაწესებულებაში გაქვს საქმე; აუცილებლად უნდა შეიარო იქ; ამ სიარულში გადის ექვსი საათი და იძულებული ხდები, სადმე, ქუჩის კუთხეში გამოიცვალა ფენსაცმელი, ძველები გადაყარო, ახლებით ფენები დაიმშვენო.

ასეთ კაცს, თქვენ იტყვი, ფენსაცმელების საკუთარი მალაზია უნდა ჰქონდესო. მე უფრო მეტს მოგახსენებთ: ჩემი ფელეტონის გმირს ერთი კი არა ხუთი მალაზია აქვს. საკუთარი არა, მაგრამ მაინც თავისი ჰქვია, როცა შეუძლიან ასეთი რამ გააკეთოს:

„საშა.—მისწეროს მალაზიის გამგეს—დღეს, შვიდი წყვილი, იაფფასიანი კარგი ხარისხის ტუფლი გამომიგ-

ზაუნე. ერთი ცოლის ძმისა მინდა, მეორე—სიდერის შვილიზა, მესამე—სიდერის შვილის ძმისა, მეოთხე—ჩემი ცოლის დის ძმისა და მეხუთე—ჩემი სიდერის სიძის მოყვრიზა“.

მალაზიის გამგემ წაიკითხოს წერილი და სთქვას: — საწყალი კაცი. სცხვენთან და იმიტომ იწერება სხვისთვის მინდაო, თორემ განა არ ვიცი, რომ თითონ მას სჭირდება დღეში ექვსი წყვილი ტუფლი?

სთქვას და თხოვან შეუსრულოს წერილის მომწერს. დიახ, ხუთი „საკუთარი“ მალაზია აქვს, დღეში ხუთივე მალაზიაში თითო ან ორი წერილი მიდის და მიაქვთ ამ წერილებს საუკეთესო ხარისხის, ტყუილად-წუნდებული იაფფასიანი ფენსაცმელები.

რა გემართებს ანლა ჩვენ, ამ ფელეტონის ავტორსა და თქვენ პატივცემულო მკითხველებო? უნდა ვისხნათ გაჭირვებისაგან ჩემი ფელეტონის გმირი: რაიმე სხვანაირი ფენსაცმელები უნდა გამოგუგონოთ, გამძლე, მაგარი. ვისაც შეგიძლიანთ ბზისაგან ან კაკლისაგან გამოთალოთ ბაკი-ბუკა ქოშები, ნუ დაიზარებთ და ჩემს გმირს გაუზაუნეთ შემდეგი მისამართით:

თბილისი: „გლავკოჟობუპროუის“ მმართველს—კოწია ჩხეთას.

მხოლოდ ძალიან ლამაზს და თვალწარბაცს ნუ გამოთლით ქაშებს ამის შემდეგ ამხანაგებო, თორემ შესაძლებელია ეს „ფენსაცმელიც“ კოწიას ხელიდან გადაიყვანოს ხელში მოხვდეს.

სოკე

თბილისში, ლუნაჩარსკის ქ. № 12 ეზოში როგორც კი შეხვალთ, კარებზე თვალწინ წარმოგიდგებათ, ანუ უბრალოდ რომ ვსთქვათ, ცხვირში გეჩვენება დაწესებულება და „უბრალო“ შენობათა ერთი არეულდარეული. ეზო მოკირწყლულ-გაფიქალბულია მთელ „თვალ-შეწვენელ“ ფართობზე. დაწესებულებათა „შემოქმედს“ აქ ერთბაშად დაუბერტყია თავისი უხვი კალთა: რას არ იპოვის აქ თქვენი ლამაზი თვალი... ყველაფერია აქ, რისი წარმოდგენა შეიძლება და რისა წარმოუდგენლობაც მოხერხდება.

იწყება ჯერ კიდევ შესავალი „ტრიუმფალური“ კარებიდან, ინსტიტუტები, შემდეგ მათ კუდში მისდევს საწყობები, მომარაგების კანცელარები და საკუჭნაოები. მერე აუარებელი ბინები „ურცხვი“ თანამშრომლებისათვის, შემდეგ შოფერების ცალკეული კაბინეტები და ცალკეული გარაჟები (როგორც შიგნით, ისე გარეთ). შემდეგ კაცების და ქალების (ერთიმეორეში არეული) „ბირველი კლასის“ საპირფარეოები, გაკეთებული „ტექნიკის უკანისკნელი სიტყვით...“ შემდეგ ჯანსაყომისა, (მაგრამ რას ვამბობ, აქ ყველაფერი ხომ ჯანსაყომისაა.) დიდი, ფუნდამენტალური წიგნთ საცავ-სამკითხველო. რომელსაც მედინსტიტუტის უზარმაზარი და მშვენიერი შენობის ქვეშ მთელი ქვედა სართული დაუკავებია... იქვე, გვერდზე კიდევ საწყობები, გვერდზე კიდევ ინსტიტუტები და კიდევ კათედრები. ასე ბოლომდე...

ერთი, ამხ. ნიანგო, რაცხას იღბალზე გაჩენილგართ მე და შენ ნატვრა აგვსრულებოდეს და რამოდენიმე წამით მაინც გადავიტყეოდეთ გულთმისნებად, რომ ზუსტად გამოვაკლიოთ: რა და რა ჯურის დაწესებულებანი და შენობებია აქ ამ სხენებული კარმიდამოში, ან რა და რა ღონისძიების გამონახვაა საჭირო იმისათვის, რომ აქ მოთავსებულ დაწესებულებებში შესვლის მსურველთ ნამდვილად მიავნონ მას, რასაც ეძებენ ამ ლაბირინტში? თუ ეს გამოვიცანით, ჯილდოს წინ არაფერი უდგას...

ნათქვამი

კეთილ-მოუწყობელი

(სიცნა წარმოადგენს კასპის პედსასწავლებლის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს. ოთახში სიბნელეა, კარები ღიაა და გარედან ოდნავი სინათლე სცემს. შემოდის დირექტორი ბაკურია).

დირექტორი — გსა თქვენი საერთო საცხოვრებელი, ყმაწვილებო? რა ამბავია ამ ცხრა საათზე სინათლე რომ ჩაგიჭრიათ?

1-ლი სტუდენტი — სინათლე დიდხანია რაც აღარ გვირისებია პატივცემულო დირექტორო.

დირექტორი — ჰაიტ, თქვე გლახებო! (გაჰკრავს ასანთ) რას წამოკიბულხართ მაგ კუშმეტებზე და წიგნები თავქვეშ ამოგიდვიათ, ადგილი არა გაქვთ რომ დააწყოთ?

2 სტუდენტი — დღეს შესრულდა სრული ორი წელი, რაც არც მაგია გაგვანია და არც შკაფები წიგნების დასაწყობად და..

დირექტორი — (პალტოს იხდის, რომელსაც მესამე სტუდენტი ართმევს და მკლავზე გადაიკიდებს. დირექტორი დიდხანს უყურებს და ბოლოს წყრომით) რა შინა საქმე ახალგაზრდავ, რაგა მათხვრის ჯიხვიით მიდგებარ წინ, ვერ ჩამოკიდებ მაგ პალტოს?

3 სტუდენტი — სამწუხაროდ არც ჩამოსაკიდები გვაქვს პატივცემულო დირექტორო!

დირექტორი — (მიიხედ-მოიხედავს, დასაჯდომს ეძებს, რომ ვერაფერს დაინახავს უკვე აღელვებული) რას გა-



წყალგუბოს „გენეპლაგი“

— განსოვს ამ სასადილოს შენების აგება რომ დაიწყეს?

— როგორ არა, მაშინ ჩვენ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით.

„ბოლო“



ჩინელი პარტიზანი: ამ სამურაებმა ტექნიკა ძალიან განავითარეს ერთ წელიწადში: შარშან, აქეთ წამოსვლის დროს საათში ორ კილომეტრზე მეტს ვერ გადიოდნენ, ახლა, იქით წახვლის დროს კი—საათში ორმოც კილომეტრს აწვითარებენ.

სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ; № 5, ტელ. 3-74-67. „კომუნისტის“ პოლიგრაფკომბინ. ლენინის ქ; № 28.
გადაეცა წარმოებას 29/V ხელმოწერილია დასაბეჭდათ 13/VI 39 წ. შეკვეთის № 635. მთავლიტის რწმუნ. 1818. ტირაჟი 15.000.
კლიშეები დამზადებულია სახელგამის ცინკოგრაფი მისიერ.